community

The New Apostolic Church around the world

02/2019/GE

სტუმრად ინდონეზიაში

რედაქციისგან: ნუ ვიტყვით უარს აღთქმაზე

ღვთისმსახურება: მდიდარი ქრისტეში

ეკლესიის მოძღვრება: ქრისტეს ეკლესია

New Apostolic Church
International

ნუ ვიტყვით უარს აღთქმაზე

ფოტო: სერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ღმერთმა აღთქმა მოგვცა: მას ჩვენი კურთხევა სურს! მოდით, გავაცნობიეროთ ეს კურთხევა და სხვებსაც გავუზიაროთ იგი. არ გვაქვს უფლება, უარი ვთქვათ მასზე.

ჩავწვდეთ ღვთიურ კურთხევას: ღმერთი გვაძლევს იმას, რაც საუკუნო ხსნის მისაღწევად გვჭირდება. ის ადამიანს მასთან საუკუნოდ ყოფნის შესაძლებლობას აძლევს. ღვთიური სიმდიდრე და საუკუნო თანაზიარება მასთან - აი, ეს არის მისეული კურთხევა.

სხვებიც გავხადოთ ღვთიური კურთხევის მოზიარენი: ღმერთი იმიტომ გვანიჭებს კურთხევას, რომ მოყვასსაც გავუზიაროთ იგი. მოდით, ჩვენი სულიერი სიმდიდრე მოყვასსაც ვუწილადოთ - დღესვე, ჩვენს ცხოვრებაში და შემდეგ ღვთის სასუფეველში. ჩვენი სურვილია, რომ ადამიანები ღმერთთან მივიდნენ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, შევინახოთ ეს აღთქმა და გადავცეთ იგი ჩვენს შვილებს, ჩვენს მოყვასს: „მიენდე ღმერთს! ის შენ გაკურთხებს!“

საყვარელო დებო, საყვარელო ძმებო! თქვენზეა დამოკიდებული ის, რომ კურთხევის გაცნობიერება და მისი სხვებისთვის გაზიარება მოხდეს. გთხოვთ, არ შეწყვიტოთ კურთხევის გაცნობიერების სურვილი და მოყვასთან მასზე ლაპარაკი!

თუ ვუერთგულებთ იესო ქრისტეს, გვაკურთხებს იგი და კურთხევის წყაროდაც გვაქცევს. ჩემი გულითდი სურვილია, რომ ეს აღთქმა მომავალ თაობებს გადავცეთ.

თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

2019 წლის 6 იანვარს, კვირას, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ბერნ-ოსტენმიუნდიგენის ეკლესიაში (შვეიცარია) ერთმორწმუნე და-ძმებთან ერთად ღვთისმსახურება იზეიმა. მას თან ახლდნენ სამხ. მოციქული იურგ ცბინდენი (შვეიცარია), მოციქული მანუელ ლუისი (პორტუგალია), მოციქული ული ფალკი (გერმანია), ასევე შვეიცარიის მოციქულები და ეპისკოპოსები.

ფოტო: იონას შპენგლერი და მარკ ქენუ

მდიდარი ქრისტეში

1. კორ. 1, 5-7

„იმიტომ, რომ გამდიდრდით მასში ყოველივეთი, ყოველგვარი სიტყვით და ყოველგვარი ცოდნით, რადგან ქრისტეს მოწმობა განმტკიცდა თქვენში, ისე, რომ არ გაკლიათ არავითარი ნიჭი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამოცხადების მოლოდინში.“

საყვარელო და-ძმანო! მშვენიერი დასაწყისია - ამა წლის პირველივე კვირას შევიკრიბეთ უფლის სადიდებლად და საქებრად, რაზედაც ასე მშვენივრად იგალობეს ბავშვებმა. ასე ყოვლისშემძლე ღმერთის რწმენას ვაღიარებთ. სასიამოვნოა, როცა წელი იმის ცოდნითა და შეგნებით იწყება, რომ ღმერთი ჯერ ისევ ყოვლისშემძლეა. წელსაც არაფერი მოხდება ისეთი, რაც მისეული ხსნის გეგმის რამენაირად დაბრკოლებას შეძლებს. ის იზრუნებს იმაზე, რომ დაუბრკოლებლად გააგრძელოს ხსნის გეგმა. იგი სიყვარულის ღმერთია და მის გეგმაში შედის ის, რომ მე და შენ და კიდევ ბევრი ადამიანი, ვისაც ამის სურვილი აქვს, თავისთან თანაზიარებაში შეგვიყვანოს. ღმერთი უზომოდ მდიდარია სიყვარულითა და სიკეთით. მას ყველა ადამიანის

გადარჩენა სურს. მას უნდა, რომ ყველა შეიყვანოს თავისთან თანაზიარებაში. მისი დიდება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლია. ვინაიდან ასეთი მდიდარია ღმერთი თავის დიდებაში, მდიდარი სიყვარულითა და სიკეთით, სურს, რომ ჩვენ ყველა გვაზიაროს ამ სიმდიდრეს. ეს არის მისი მიზანი. მან ადამიანები იმისათვის შექმნა, რომ მასთან სრულქმნილ თანაზიარებაში იცხოვრონ. ის ზრუნავს იმაზე, რომ ყველა ადამიანს მიეცეს მის სიმდიდრესთან ზიარების საშუალება. მოინდომებს ამას ადამიანი თუ არა, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული.

ჩვენი ამა წლის დევიზია: „მდიდარი ქრისტეში!“ ჩვენ გვსურს, რომ მივიღოთ ღმერთის სიმდიდრე. ჩვენი სურვილია, გავმდიდრდეთ ღმერთში. ღმერთში გასამდიდრებლად ანუ მისი სიმდიდრის მისაღებად ღმერთმა გზა გაგვიკვალა. ასეთი გზა 200 კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთია. ამ გზას იესო ქრისტე ჰქვია. ღვთის ძე დედამიწაზე მოვიდა და განკაცდა. ის ადამიანებს გაუთანაბრდა, რათა გაეცხადებინა, თუ ვინ და როგორია საერთოდ ღმერთი, რა განზრახვა აქვს მას და რამდენად ახლოა იგი ჩვენთან. თავისი სამსხვერპლო სიკვდილითა და აღდგომით მან გზა გაკვალა, რათა ადამიანებს ღვთის სასუფეველში შესვლა შეძლებოდათ: „თუ გამომყვებით, ღმერთში გამდიდრდებით და მიაღწევთ ამ სიმდიდრეს.“ ღმერთის სიმდიდრე ღვთიური სიკეთე და ღვთიური სიმდიდრეა. ახლა კი ჩვენზეა დამოკიდებული, გვსურს თუ არა გამდიდრება.

მოდით, მივუბრუნდეთ წლევანდელ დევიზს: როგორ გავმდიდრდეთ ღმერთში? რა სიმდიდრეა ქრისტეში? როგორ გავინაწილოთ ეს სიმდიდრე?

ჩემი სურვილია, რომ ეს თემა მუდამ იყოს ჩართული ქადაგებაში - იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ძირითად აზრებში“ არ არის ამაზე საუბარი. ის ქადაგებაში უნდა იყოს ჩართული, რამეთუ ინტენსიურად იმუშაონ თემებმა მასზე. სულიწმიდა ბევრ ისეთ აზრს შთაუნერგავს და-ძმებს, ახალგაზრდებსა და ბავშვებს, რომლებიც მათ ამ ნება-სურვილის განმტკიცებაში დაეხმარება: „დიახ, მე მსურს, გავმდიდრდე ქრისტეში!“

და მაინც როგორ შეგვიძლია ქრისტეში გამდიდრება? პირველი პირობა იესო ქრისტეს მიმართ რწმენაა. ამის გარეშე არაფერი გამოვა. ღმერთთან მისასვლელად მხოლოდ ერთი გზა არსებობს. ეს გზა იესო ქრისტეა და ჩვენ უნდა გვწამდეს მისი. პავლე აქ ამბობს, რომ „ქრისტეს მოწმობა“ უნდა განმტკიცდეს ჩვენში. ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი, მისი განკაცების, მისი სამსხვერპლო სიკვდილისა და აღდგომის. ჩვენ გვწამს მისი აღთქმისა: „კვლავ მოვალ, რათა ჩემთან წაგიყვანოთ“. ჩვენ გვწამს მისი მოძღვრებისა და სახარების. ეს არის ჭეშმარიტება და გზა კურთხევის მისაღებად. ეს არის ღმერთთან მისასვლელი გზა და გზა იმისათვის, რომ სათნონი ვიყოთ მის თვალში - ამის გვწამს ჩვენ! არ შეიძლება, რომ ეს რწმენა მხოლოდ „დაჯერება“ იყოს. ღვთის ძე კაცად იქცა, მოკვდა და აღდგა, მე ქრისტიანი ვარ და ამის მწამს. მწამს, რომ ღვთის ძე ოდესმე კვლავ მოვა, მწამს სახარების და ღვთის სიტყვის. ამის მხოლოდ „დაჯერება“ არ გაგვამდიდრებს. გასამდიდრებლად საკმარისი არ არის მარტო ღვთისმსახურებებზე სიარული და ტრადიციული რწმენა იმისა, რომ ახალსამოციქულო ქრისტიანები ვართ და ახალსამოციქულო ეკლესიაში დავდივართ. „ქრისტეს მოწმობის“ განმტკიცებაა აუცილებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იესო ქრისტესადმი რწმენა ძალად უნდა იქცეს და ცოცხლობდეს ჩვენში. ეს რწმენა ჩვენი მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს: დიახ, ჩვენ გვინდა იესო ქრისტესთან, გვინდა მისი ნებისამებრ ვიმოქმედოთ. გვინდა, გავხდეთ ისეთები, როგორიც ის არის. მოდით, ვიცოცხლოთ იესო ქრისტეში! მოდით, მუდამ აღფრთოვანებულნი ვიყოთ იმით, რომ ღვთის ძე ჩვენთვის განკაცდა, სიკვდილსა და ეშმაკს სძლია, პირველი იყო ადამიანთაგან, ვინც აღდგომის სხეულით ზეცად ამაღლდა. მისი ეს დაპირება: კვლავ მოვალ, რომ შემდეგ ჩემთან იყოთო, სტიმულსუნდა გვაძლევდეს. მოდით, დარწმუნებულები ვიყოთ ქრისტეს მოძღვრებასა და სახარებაში. „ქრისტეს მოწმობა“ უნდა განმტკიცდეს ჩვენში, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთში გამდიდრებას ვერ შევძლებთ. ყოველთვის ვიზრუნოთ იმაზე, რომ იესო ქრისტე ძალად იქცეს ჩვენს გულში. მიუხედავად იმისა, თუ რისი გადატანა გვიწევს ან რას გვთავაზობს ეს ქვეყანა, არ დავივიწყოთ, რომ ღმერთი განკაცდა. ის ჩვენთვის მოკვდა, პირველი ამაღლდა ზეცად და ისევ მოვა. ეს აღფრთოვანებას უნდა იწვევდეს ჩვენში - ამის ცოდნა უნდა გიზგიზებდეს ჩვენში!

მოდით, ვემსახუროთ ღმერთს - ყველა თავ-თავის ადგილზე.

პავლე ამბობს, რომ ღმერთი გაღარიბდა, რათა ჩვენ გავმდიდრებულიყავით. ის ღარიბ კაცად იქცა

იმისათვის, რომ ჩვენ გავმდიდრებულიყავით. ჩვენს გასამდიდრებლად მან სიღარიბე აირჩია. რა უნდა ვქნათ, რომ გავმდიდრდეთ ღმერთში? მთაზე ქადაგების დასაწყისში იესომ თქვა: „ნეტარ არიან ღარიბნი სულით, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“. მაშინ ეს მისი ქადაგების პირველი ელემენტი იყო. „ღარიბნი სულით“ არ ნიშნავს იმას, რომ ბრიყვები უნდა ვიყოთ. მაგრამ როგორ უნდა გავხდეთ „ღარიბნი სულით“? სულით ღარიბი არის ის, ვინც ისეთი თავმდაბალია, რომ მორჩილიც არის. ის საკუთარი ნების მიხედვით კი არ მოქმედებს, არამედ ღვთის ნებისამებრ. მისთვის ღვთის მცნებები ყველაზე საუკეთესოა, რაც კი არსებობს. ის ამ მცნებებისამებრ ცხოვრობს და მორჩილია. ბევრისათვის ეს მეტისმეტად დიდი მოთხოვნაა. ასეთი ადამიანები თავს უფლებას აძლევენ, თავად გადაწყვიტონ, თუ როდის არის მცნებები მიზანშეწონილი და როდის არა, და როდის შეიძლება მათი გამოყენება. ასეთი ადამიანი სულით ღარიბია, ის ვერ მიიღებს კურთხევას და ვერც ღმერთში გამდიდრდება.

თავმდაბალი, სულით ღარიბი ადამიანი ამბობს: „ღმერთმა უკეთ იცის - დავიცავ მცნებებს, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი, ეს არის ჩემთვის საუკეთესო გზა.“ ასეთი კაცი სულით ღარიბია. მოდით, გავხდეთ ღარიბნი და თავმდაბალნი, რამეთუ გავმდიდრდეთ. შემდეგი ასპექტი ასეთია: იესო იმისათვის კი არ მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის მოვიდა, რომ თავად იმსახუროს. მან დაიმდაბლა თავი და მოგვემსახურა. გასამდიდრებლად ღმერთს უნდა ვემსახუროთ და ვიმუშაოთ. იესო ბევრს ლაპარაკობდა შრომაზე: თუ გინდა რომ გამდიდრდე ღმერთში, უნდა იმსახურო, იშრომო და ძალ-ღონე არ დაზოგო. ამასთან დაკავშირებით მრავალი იგავია მოცემული ბიბლიაში - ტალანტებზე, მნაებზე, მუშაკებზე ვენახში. იესო ხშირად მიმართავდა ამ თემას. ხსნის დამსახურებას ვერ შემლებ, მაგრამ უნდა იშრომო, ძალ-ღონე არ დაზოგო - წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გამდიდრდები. თუ გვინდა, რომ წელს გავმდიდრდეთ, ბევრი უნდა ვიმუშაოთ, უნდა გავაკეთოთ რაღაც. მოდით, ვემსახუროთ ღმერთს - ყველა თავ-თავის ადგილზე.

იგავი ტალანტებზე ძალიან საინტერესოა: ბატონმა ერთ მონას ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი, ხოლო მესამეს - ერთი. იმან, ვინც ხუთი ტალანტი მიიღო, იშრომა და კიდევ ერთი იმდენით გაამრავლა და ისე დაბრუნდა. ვისაც ორი ტალანტი შეხვდა, იმანაც იმუშავა და ორი ტალანტის მოგებით

დაბრუნდა. ხოლო იმან, ვინც ერთი ტალანტი მიიღო, მიწაში ჩაფლა იგი, იზარმაცა, არაფერი გააკეთა და ბოლოს ვერც ვერაფერი მიიღო. მათ, ვინც ათი და ოთხი ტალანტით დაბრუნდა, ზუსტად ერთნაირი საზღაური მიიღეს. იესოს ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ საქმე შედეგში კი არა, არამედ შრომაშია.

ჩვენ გვყავს ძალიან დიდი, სიცოცხლით სავსე თემები, მათ შესანიშნავი განათლების მიღება შეძლეს, ინფორმაციასთან სრული წვდომა ჰქონდათ და კარგი მომზადებულები არიან რწმენაში, დიდი გუნდები ჰყავთ, მუსიკაც არის. ისინი მესამე თაობის ახალსამოციქულო ქრისტიანები არიან და ბევრი რამ მიიღეს გადმოცემით. სხვა კი გუშინწინ აღიბეჭდა სულიწმიდით, პატარა თემის წევრია, რომლის მრევლიც ოთხი კაცისგან შედგება. მათ ჰყავთ მღვდელი, რომელსაც არა აქვს თეოლოგიური განათლება, ის ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია, მაგრამ კარგად არ იცის ბიბლია. ამ შემთხვევაში ღმერთი ერთნაირ შედეგს არ მოელის. ვისაც უფრო მეტს აძლევს, ბევრსაც მოელის მისგან. ვისაც რაღაც მიზეზის გამო ცოტას აძლევს, ცოტასაც მოელის მისგან. თუმცა ყველასგან ინტენსიურ შრომას მოელის. მოდით, ინტენსიურად ვიმუშაოთ ჩვენს ხსნაზე, ინტენსიურად ვემსახუროთ უფალს, ეს არის ჩვენი პრიორიტეტი, ჩვენი სულის ხსნა - ჩვენი ცხოვრების პრიორიტეტს უფლის სამსახური წარმოადგენს. იმას, ვინც ასეთი ღარიბია და ასე მსახურებს, ქრისტეში გამდიდრება შეუძლია.

უფლისათვის მსახურება ჩვენი ცხოვრების პრიორიტეტს წარმოადგენს.

კიდევ როგორ შეიძლება, რომ გავმდიდრდეთ? ამისთვის კიდევ ბევრი შესაძლებლობა არსებობს. მაგ., ვერავინ შეძლებს საკუთარი თავის კურთხევას. ეს შეუძლებელია, ასე წერია ჩვენს კატეხიზმოში და ასეთია ქრისტიანული აღმსარებლობა. კურთხევის მისაღებად მსახურები გვჭირდება, რომლებიც ღმერთმა მოგვივლინა და რომლებსაც ჩვენთვის კურთხევის გადმოცემისკენ მოუწოდა. ესენი ორდინირებული მღვდელმსახურები არიან, ატარებენ ღვთისმსახურებებს და ლოცვა-კურთხევას მოჰფენენ. მაგალითი: ქვრივს თავის ორ ძესთან ერთად დიდი ვალები ჰქონდა. ქმარი მოუკვდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ელია წინასწარმეტყველი მივიდა მასთან და უთხრა: „მე შემიძლია, დაგეხმარო. რა გაქვს სახლში?“ ქალმა მიუგო: მხოლოდ ერთი დოქი ზეთიო. ელიამ უთხრა: „წადი მეზობლებში და იმდენი დოქი მოიტანე, რამდენსაც მოერევი, მერე სახლში წადი და შენი ზეთის დოქიდან აავსე ისინი.“ ქვრივი წავიდა მეზობლებში და მოიტანა ყველაფერი, რაც მისცეს და ყველა დოქი ზეთით გაავსო ისე, რომ აღარ დარჩა აღარც დოქი და აღარც ზეთი. ამის მერე გაყიდა მან ზეთი და ასე დააღწია გაჭირვებას თავი. მას რომ ეთქვა, არც კი ვიცი, მეზობლის დოქი სუფთაა თუ არაო, ანდა დოქი არ მოსწონებოდა, მაშინ ბევრად უფრო ცოტა ზეთს მიიღებდა. მან ის ჭურჭელიც კი გამოიყენა, რომელიც მისი არ იყო.

საყვარელო და-ძმანო, ყოველთვის იმის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რომ ღმერთი ისეთ მღვდელმსახურებს გამოგვიგზავნის, რომლებიც ზუსტად შეესატყვისებიან ჩვენს წარმოდგენებს. მოდით, ყველა მივიღოთ, ვისაც ღმერთი მოგვივლენს. რაც უფრო მეტად გავუხსნით მათ გულს, მით უფრო მეტ კურთხევას მივიღებთ. გამდიდრებას ასე შევძლებთ. მოდით, ღრმა რწმენა ვიქონიოთ, ვიყოთ მორჩილები, ეს არის გამდიდრების გზა. მივიღოთ ის ძმები, რომლებსაც ღმერთი გვიგზავნის.

მოდით, ჩვენი მადლიერება და ნდობა ღმერთს ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლით დავუმტკიცოთ. ბიბლია ისევ და ისევ უბრუნდება ამ თემას - მდიდარია ის, ვინც ერთგულად სწირავს. ახლა აქ ლაპარაკი მსოფლიო ეკლესიის ფინანსებზე კი არ არის, არამედ იმაზე, რომ შესაწირი ჩვენი მადლიერებისა და ღვთისადმი ნდობის ნიშნად გავიღოთ. სულით ღარიბმა იცის: „მე არაფერი დამიმსახურებია - ყველაფერი, რაც გამაჩნია, წყალობის შედეგია. ეს ღვთიური წყალობაა და ამისთვის მადლობელი ვარ, ხოლო ჩემს მიერ გაღებული მსხვერპლი ჩემი მადლიერების გამოხატულებაა.“ სულით ღარიბი ამბობს: „საყვარელო ღმერთო, გიძღვნი შენ შენს წილს და ეს ჩემი შესაწირი ჩემი მადლიერების გამოხატულებაა და ვიცი, რომ იზრუნებ ჩემზე და მომცემ იმას, რაც ნამდვილად მჭირდება.“ მოდით, გავიღოთ ჩვენი მსხვერპლი. მას არაფერი საერთო არა აქვს ფულთან და ფინანსებთან. მსხვერპლშეწირვა ჩვენი მხრიდან მადლიერებისა და ღვთისადმი ნდობის გამოხატულებაა. ღმერთმა აღგვითქვა, რომ მსხვერპლის გამღები კურთხეული იქნება, რამეთუ იგი ამგვარ გულისმიერ განწყობას აკურთხებს და არა ფულს. ასეთი გულისმიერი განწყობა, სულიერი სიღარიბე, ყველაფერი შენგან მოდის, ღმერთო, - მადლობელი ვარ ამისთვის. შენ ხარ ის, ვინც ზრუნავს ჩემზე და მე გენდობი შენ.

მაშ, გავმდიდრდეთ ქრისტეში! რა თქმა უნდა, ამისათვის უნდა განვიწმიდოთ და დავთმოთ ყველაფერი, რაც არ ესათნოება ღმერთს. უფალმა იესომ თქვა: ვისაც ჩემი მიმდევრობა სურს, საკუთარი თავი უნდა უარყოსო. ხანდახან ისეთი აზრებიც მოგვდის, რომლებიც არც ცუდია და არც მცდარი; მაგრამ ისინი არ მიესადაგება იესო ქრისტეს. არის გულისმიერი განწყობანი, შეიძლება ტრადიციებიც, და კიდევ ბევრი რამ, რაც არ მიესადაგება სახარებას. მოდით, გაუთავებლად ნუ ვიკამათებთ იმაზე, თუ რომელია სწორი და რომელი არა. უბრალოდ უარი ვთქვათ მათზე, რამეთუ ისინი არ მიესადაგებიან იესო ქრისტეს. გამდიდრება ასეც შეგვიძლია.

მაინც რას ნიშნავს, ვიყოთ მდიდარი ქრისტეში? ზოგი რამის ჩამოთვლა შეიძლებოდა. მაგრამ ერთი რამ ძალიან მნიშვნელოვანია: პავლე აქ ამბობს, რომ ეს ცოდნაა: ჩვენ ვიცით, თუ რა განზრახვა აქვს ღმერთს. ადამიანებს სურთ, რომ აუცილებლად იცოდნენ, რა მოხდება სამყაროში. რა მზადდება, რა იმალება ამის უკან? ადამიანები ფულს ხარჯავენ იმისათვის, რომ ინფორმირებულნი იყვნენ. ფულს ხარჯავენ გაზეთებისათვის, რეპორტაჟებისათვის და ა.შ. ჩვენ ვიცით, რაც ხდება: ღმერთი კვლავაც მუშაობს თავის გეგმაზე. ყველაფრის ბოლო ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაა ახალ შემოქმედებაში. ღმერთი ზრუნავს, რომ ყველა მსურველმა შეძლოს იქ მოხვედრა. ახლო მომავალი უფლის მეორედ მოსვლაა. ზუსტად ვიცი, რა განზრახვა აქვს ღმერთს ჩემს მიმართ. მე არ ვიცი ყველა ქუჩა და კუთხე-კუნჭული, მაგრამ ვიცი გზა და ისიც ვიცი, თუ საით მიდის იგი. ვისაც ნამდვილად სწამს ამისი, ის მდიდარია. ბუნებრივია, არ გვახარებს ის, რომ უნდა მოვკვდეთ და არც ის, როცა ვიღაც კვდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ საით მივდივართ და რას გვიპირებს ღმერთი. ეს დიდი სიმდიდრეა, რომელსაც ხშირად სათანადოდ ვერ ვაფასებთ. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი ღვთის ხელთაა. ამ სიმდიდრეს და ცოდნას ფლობს ის, ვისაც ასეთი მტკიცე რწმენა აქვს, ვინც სულით ღარიბია.

მეორე სიმდიდრე, რომლის ყიდვაც არ შეიძლება, იმის ცოდნაა, რომ ვუყვრვართ ღმერთს. თვითეული ჩვენთაგანი უპირობოდ უყვარს და ყველას შეუძლია ამის თქმა: „ვიცი, ვისაც ვუყვარვარ, ეს ღმერთია - ვუყვარვარ მაშინაც, როცა რაღაც მეშლება. მე მას მაინც ვუყვარვარ. მას იმიტომ კი არ ვუყვარვარ, რომ ვჭირდები ან რაიმე ინტერესი აქვს ჩემს მიმართ; მას იმიტომ კი არ ვუყვარვარ, რომ რაღაც კარგი და სასიკეთო გავაკეთე, არამედ მას უბრალოდ ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ.“ ღმერთი სიყვარულია და მას სხვაგვარად არ შეუძლია. იმის შეგრძნება და შეგნება, რომ ვუყვარვართ,

ქრისტიანული რწმენის შემადგენელი ნაწილია. ეს ის სიმდიდრეა, რომელსაც ნაკლებად ვაფასებთ, და რომელსაც უფრო მეტი ადგილი შეიძლება ჰქონდეს ჩვენს გულში. დიდ სიხარულს განაპირობებს იმის ცოდნა, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ვუყვარვართ ღმერთს. ჩვენ ყველაზე საუკეთესო შუამავალი გვყავს, ვინც კი არსებობს: იესო ქრისტე. ის ყოველთვის გვშუამდგომლობს და წყალობას გვანიჭებს. იგი ყველაზე საუკეთესო დამცველია, ვინც კი გყავს. ვისაც იესო ქრისტესი სწამს, შეუძლია მიენდოს მას. ის მოვა და დანაშაულს მიუტევებს.

უნდა გვიხაროდეს, რომ თემის შემადგენელი ნაწილი ვართ და მარტონი არ ვართ. რა თქმა უნდა, თემში ყველაფერი სრულყოფილი არ არის. ერთი თემი დიდია, მეორე - პატარა. ერთნი სასიამოვნონი არიან, მეორენი არც ისე. ერთნი ჩვენნაირები არიან, მეორენი სრულიად განსხვავებულნი. მოდით, ეს სულიერ სიღარიბედ აღვიქვათ - თემი სიმდიდრეა. ჩვენ ერთმანეთისთვის ლოცვა შეგვიძლია. საყვარელო და-ძმანო, მოდით, თემს სულიერი და განწმედილი თვალებით შევხედოთ. იგი ერთობაა, სადაც ერთმანეთისთვის ლოცულობენ. ერთობა, რომელიც განსხვავებების მიუხედავად ახერხებს, რომ ქრისტეში ერთი იყოს. ვერ ვაცნობიერებთ, თუ რამდენად დიდია ეს სიმდიდრე. თუ გადავხედავთ მსოფლიოს, იქნება ეს შვეიცარიაში თუ სხვა ქვეყნებში, ვნახავთ, რომ ადამიანები რომელიმე ჯგუფში გაერთიანებისკენ ან ერთობის რაიმე ფორმის მოძებნისკენ ილტვიან. ჩვენ დავიბადეთ ამგვარ ერთობაში. ეს სიმდიდრეა, რომელსაც ვერ ვაფასებთ. ჩვენი სურვილია, დავიმკვიდროთ ის დიდი სიმდიდრე, რომელიც ღმერთთან ერთობაა. მაგრამ უკვე დღესვე გვინდა, რომ სულ უფრო მეტად გავმდიდრდეთ იესო ქრისტეში. ამას მაშინ შევძლებთ, თუ სულით სულ უფრო მეტად გავღარიბდებით, ვიქნებით თავმდაბალნი, ღვთისადმი თავდადებულნი, იესოს სამსახურში, მორჩილნი, და ასე განვიწმიდებით. მოდით, ეს სიმდიდრე მოყვასსაც ვუწილადოთ. ამით არ გავღარიბდებით.

ჩვენ წყალობის სიუხვეც გვაქვს. იესო ქრისტე გვიცავს, ის მოგვიტევებს - ეს აუწყავი სიმდიდრეა, რომლის გაცემასაც მაშინ შეძლებ, თუ მოყვასს მიუტევებ. ადამიანები ფიქრობენ, რომ თუ შურს არ იძიებენ, კბილებით არ დაიცავენ თავიანთ სიმართლეს, წაგებულები დარჩებიან. ჩვენ კი ვიცით, რომ მიტევებით არ გავღარიბდებით, პირიქით, გავმდიდრდებით კიდეც. მოდით, წყალობის სიუხვე ჩვენს თანამოძმეებსაც გავუზიაროთ. მოდით, სახარებაც გავუზიაროთ მათ და ვუთხრათ: „შენც უყვარხარ ღმერთს. ჩვენ ვიცით, საით მივდივართ, შენც ამ გეგმის ნაწილი ხარ.“ მაშ, ვისაუბროთ სახარებაზე და გავავრცელოთ ეს გზავნილი: „ღმერთი სიყვარულია, მას შენი გადარჩენა სურს. ყოველივე, რაც გაგვაჩნია, ღვთისგან მივიღეთ.“

მადლიერების ნიშნად ღმერთს მსხვერპლს ვწირავთ. ხანდახან ღმერთი გვეუბნება, რომ შენს გვერდით მდგომი კარგად არ არისო. არის ქვეყნები, სადაც ადამიანები სულაც არ არიან კარგად. ამ დროს შეგვიძლია, რომ ჯიბეში ხელი ჩავიყოთ და რაღაც გავიღოთ. მოდით, ეს სიმდიდრე სხვებსაც გავუნაწილოთ. ქრისტეში სიმდიდრე იმას ნიშნავს, რომ ფულზე არ ვართ დამოკიდებულნი. ჭეშმარიტი, თავმდაბალი ქრისტიანი შინაგან მშვიდობას ფლობს. ეს მშვიდობა ქონებაზე არ არის დამოკიდებული. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იმაში დარწმუნებულობაა, რომ ღმერთი ყველაფერს მომცემს, რაც კი მის სასუფეველში შესასვლელად მჭირდება. ეს ფულისა და ქონების მნიშვნელობის ფარდობითობას ადგენს. ასეთ კაცს სიხარბე არ აწუხებს, როგორც ბევრი ადამიანის შემთხვევაში ხდება დღეს. ქრისტეში მდიდარი თავისუფალია და არ სტანჯავს სიხარბე და შური. ის უბრალოდ კმაყოფილია. მისი შინაგანი ბედნიერება, მისი გაწონასწორებულობა, ქონებაზე აღარ არის დამოკიდებული და ამიტომაც შეუძლია მართოს ფული და დახმარება გასწიოს იქ, სადაც საჭიროა. ამ კუთხით ყველას შეგვიძლია უკეთესები გავხდეთ.

საყვარელო და-ძმანო, ეს იყო რამოდენიმე მოსაზრება წლევანდელ თემასთან დაკავშირებით - „მდიდარი ქრისტეში“. უნდა ვიმუშაოთ ამაზე და სულიწმიდა კიდევ ბევრ კარგ აზრს შთაგვინერგავს. ამინ.

ძირითადი აზრები

- ღმერთი იმათ ამდიდრებს, ვინც რწმენასა და თავმდაბლობას ავლენს.
- ჩვენ იმისკენ ვილტვით, რომ ცოდნაში, სიყვარულში, წყალობასა და მშვიდობაში გავმდიდრდეთ.
- ჩვენს სიმდიდრეს მოყვასსაც ვუნაწილებთ.

მოყვასის სიყვარული ციფრებში

4 მილიონი ევრო 100 პროექტისათვის 24 ქვეყანაში: ასე გამოიყურება 2017 წლის ახალსამოციქულო საქველმოქმედო ორგანიზაციის ფონდის ბალანსი. ის, თუ რამდენი ადამიანის ბედი იმალება ამ ციფრებს უკან, ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში აისახა.

„მსოფლიოს ბევრ კუთხეში არსებული გაჭირვება გულგრილებს არ გვტოვებს“, ასე აღწერს საქველმოქმედო აქტიობების მოტივაციას პირველმოციქული პენსიაში ვილჰელმ ლებერი, როგორც კურატორი ამ სფეროში. „მოყვასის სიყვარული მრავალნაირად შეიძლება განხორციელდეს. აქ ეკლესიის საქველმოქმედო ორგანიზაციის მუშაობაც თავის როლს ასრულებს.“

რამხელა ძალისხმევაა საჭირო

გერმანიის ახალსამოციქულო ორგანიზაცია 2017 წლის წლიურ ანგარიშში მოქმედების ექვს არეალს ასახელებს:

1, 7 მილიონ ევროზე მეტი ძირითადად „პურზე“ დაიხარჯა, საარსებო საშუალებების უზრუნველყოფასა და შექმნაზე. ამის საჩვენებელი მაგალითია პომიდვრის საწებლის დამზადება ზამბიაში, რომელსაც არა მხოლოდ ექვსი დამხმარე სჭირდება, არამედ 1900 საოჯახო გლეხური მეურნეობა.

780. 000 ევრო განათლებაში წავიდა: ამ თანხამ ხელი შეუწყო, უპ. ყოვლისა, სკოლების განვითარებასა და გაფართოებას, მაგრამ ასევე ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებასა და ზრდასრულთა განათლების ამაღლებას.

„სტრუქტურის“ სფეროზე დაახ. 490. 000 ევრო დაიხარჯა. საპრეზენტაციო პროექტს ამ კუთხით ბანჯულში (გამბია) ნარჩენების გადამუშავებისა და მართვის სისტემის შექმნა წარმოადგენს.

„კატასტროფების“ უშუალო შედეგებზე საზრუნავად ახსე-ს საქველმოქმედო ფონდმა დაახ. 290.000 ევრო გაიღო. იგი სამხრეთ აფრიკაში შიმშილობის დაძლევას ემსახურებოდა, ასევე ლტოლვილთა ინტეგრაციას გერმანიაში, საბერძნეთში, იორდანიასა და სერბიაში.

„ჯანმრთელობის“ განხრით 250. 000-ზე მეტი ევრო იქნა ინვესტირებული: მაგ., „Coming Clean“-ში - ნარკოდამოკიდებულების დაძლევის პროგრამა სამხრეთ აფრიკაში; ამ პროგრამის აღმასრულებელია სამხრეთ აფრიკის ახალსამოციქულო ეკლესიის საქველმოქმედო ორგანოზაცია. ახსე-ს საქველმოქმედო ფონდი არა მარტო მოცემული სამხ. ეკლესიის ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, არამედ ასევე ზამბიასა და კენიაშიც.

„WASH“ ეწოდება წყლის, სანიტარული ტექნიკისა და ჰიგიენის სფეროს. ამისათვის გამოყოფილ იქნა თითქმის 90. 000 ევრო. ეს თანხა დაიხარჯა კენიაში მუკურუს ღატაკთა დასახლებებისათვის ბიოცენტრების მოსაწყობად: ცენტრალური ტუალეტებიდან და საშხაპე კომპლექსებიდან გამდინარე წყლები ბიოგაზის მოწყობილობებში ჩაედინება. ამ გზით მოპოვებული მეთანი განათებისათვის გამოიყენება, ასევე სპეციალური ქურებისათვის საჭმლის მოსამზადებლად.

ფინანსურ პასივებზე დაფუძნებული დახმარება

გაწეული ხარჯების თითქმის 90 პროცენტით ახსე-ს საქველმოქმედო ფონდი, რეგიონალური თვალსაზრისით, ერთმნიშვნელოვნად აფრიკაზე აკეთებს აქცენტს. თითქმის 1 მილიონ ევროს ინაწილებენ დასავლეთ, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკა. კონტინენტებს შორის აფრიკას მოსდევს აზია 5, 8 პროცენტი წილით, ევროპა - 3, 9%-ით და ამერიკა - 0, 4 %-ით.

პროექტები ფინანსდება შემოწირულობებიდან, საშუალოდ 98%-ით ათი წლის ვადით. მსხვილი ფულადი თანხები შემოდის ინდივიდუალური შემოწირულობებიდან, ამას მოსდევს შეფობა და გრძელვადიანი აქციები, ასევე მემკვიდრეობანი. ამ ფულად პასივებში ინვესტიციებიც არის ასახული.

„ჩვენ, ახსე-ს საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლები ბედნიერები ვართ და ვამაყობთ იმით, რომ გვყავს ამდენი სპონსორი, მხარდამჭერი და კრიტიკოსი“, განაცხადა საქმეთა მმართველმა იორგ ლესკემ თავის შესავალ სიტყვაში. რამეთუ „მათ თავიანთი განსხვავებული ხედვა შეინარჩუნეს ამჟამად მიმდინარე ცხარე პოლიტიკურ დებატებში, რომლებიც დევნილობასა და მიგრაციას ეხება.“

ფოტო: ჩრდ. რაინ-ვესტფალიის ახ.ს.ე.

მოციქული ვოლფგანგ შუგი მადლიერების გრძნობით გადასცემს „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს კითხვებსა და პასუხებში“ მის მთარგმნელს ქართულ ენაზე მზია ურუმაშვილს, რომელმაც დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ ახალსამოციქულო ეკლესიის ეს სახელმძღვანელო ქართველი ერთმორწმუნე და-ძმებისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი მათ მშობლიურ ენაზე.

მოციქული ვოლფგანგ შუგი თბილისის თემს ქართულ ენაზე ნათარგმნ კატეხიზმოს წარუდგენს

მოციქულ ვოლფგანგ შუგის ვიზიტი საქართველოში

2019 წლის 23 მარტიდან 1 აპრილამდე მოციქული ვოლფგანგ შუგი საქართველოს სტუმრობდა. ეს მისი პირველი ვიზიტი იყო საქართველოში წელს. ამ ვიზიტის ფარგლებში იგი თბილისის, ფოთისა და ბათუმის თემებს ეწვია და ღვთისმსახურებები ჩაატარა. მას თან ახლდა სამხ. ხუცესი გერმანიიდან იურგენ ფოლმანი.

თბილისში მან იოანეს სახარებიდან აღებული სიტყვით იმსახურა (იოან. 6, 26. 27): „მიუგო იესომ და უთხრა მათ: ‘ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: იმიტომ კი არ მეძებთ მე, რომ სასწაული იხილეთ, არამედ იმის გამო, რომ პური ჭამეთ და გაძეხით. ნუ ირჯებით ხრწნადი საზრდოსათვის, არამედ იმ საზრდოსათვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელსაც ძე კაცისა მოგცემთ თქვენ, რადგან მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა.“

ქადაგებისას მოციქულმა შუგმა, პირველ რიგში, ღვთისმსახურების მონაწილეებს გადაუხადა მადლობა მათი ერთგულებისა და სიმტკიცისათვის. ამის შემდეგ მოციქული ღვთის სიტყვის განმარტებაზე გადავიდა. მან აღნიშნა, რომ ამ ისტორიაში უფლისათვის სამი ძირითადი ნიშანია მთავარი:

- მან ილოცა და მადლი შესწირა მამას იმ მცირედი საკვების გამო, რომელიც 5000 კაცისთვის იყო გამიზნული;
- ამ სასწაულის განხორციელება კი მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ მოწაფეებმა ირწმუნეს იესოს სიტყვები და პურისა და თევზის დარიგება დაიწყეს;
- ბოლოს კი საკმაოდ ბევრი საჭმელი დარჩა.

მოციქულმა ახსნა, რომ ჩვენც მადლობელნი ვართ იმ მცირედისათვის, რომელიც ხანდახან ღვთისმსახურებებზე გვეძლევა. ჩვენც უნდა



„ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ ქართულ ენაზე

ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში:

„ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს“ სრული ვერსია 2012 წელს გამოიცა გერმანულ ენაზე. ეს წიგნი ახალსამოციქულო მრწამსის სახელმძღვანელოა. 2014 წელს მისი მოკლე ვერსია გამოიცა, რომელიც 750 კითხვისა და 750 პასუხისგან შედგება. ეს ვარიანტი ქართულადაც ითარგმნა და დაიბეჭდა. „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ რწმენის სიმბოლოების უფრო ღრმად გაცნობაში ეხმარება მორწმუნეს მისთვის გასაგებ ენაზე. ამასთან დაკავშრებით, პირველმოციქული შნაიდერი წიგნის შესავალში წერს: „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს’ ... ეს რედაქცია ყველა ახალსამოციქულო ქრისტიანს რწმენის შინაარსებეზე ინტენსიურად მუშაობისკენ მოუწოდებს. ახალსამოციქულო რწმენის მოძღვრების გასაცნობად იგი ყველა დაინტერესებულ პირსაც იწვევს“.

მოციქული ვოლფგანგ შუგი 26-31 მარტს საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა. ამ ვიზიტის ფარგლებში მან თბილისის, ბათუმისა და ფოთის თემები მოინახულა და ღვთისმსახურებების ჩატარების შემდეგ ახალსამოციქულო ეკლესიის ეს სახელმძღვანელო საზეიმოდ გადასცა ერთმორწმუნე და-ძმებს. ეს მათთვის დიდი საჩუქარი იყო. მოციქულის დავალებით კახეთის თემებში „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს კითხვებსა და პასუხებში“ ადგილობრივი მღვდელმსახურები დაარიგებენ.

დახმარება ქართული თემებისათვის:

2018 / 2019 წლების მიჯნაზე ახალსამციქულო ეკლესიის საქველმოქმედო ფონდმა ქართველ და-ძმებს ზამთრის პერიოდში დახმარება გაუწია. ეს ის დროა, როცა ხალხს ყველაზე მეტად უჭირს.

ფინანსური დახმარების წყალობით გაჭირვებული და-ძმებისათვის სურსათ-სანოვაგე იქნა შეძენილი. თვითეული პაკეტი არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებს შეიცავდა: ფქვილს, ზეთს, შაქარს, ხორცისა და თევზის კონსერვებს, ტკბილეულს და ა.შ. სულ 157 პაკეტი მომზადდა და დარიგდა თბილისის, კახეთის, ბათუმისა და ფოთის თემებში.

საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის წევრები გულითად მადლობას უხდიან ახსე-ს საქველმოქმედო ფონდს დროულად გაწეული დახმარებისათვის.

დავიწყოთ ჩვენი თანამოძმეებისათვის იმ საზრდოს განაწილება, რომელსაც ღვთისმსახურებაზე ვიღებთ. მაშინ საკმაოდ ბევრიც დაგვრჩება და ჩვენც გავიხარებთ და „გავძღებით“.

30 და 31 აპრილს პირველმოციქულმა ფოთსა და ბათუმში იმსახურა. ღვთისმსახურებას მან აქ იოან. 13, 7-დან აღებული ციტატა წარუმძღვანა: „მიუგო იესომ და უთხრა მას: ‘რასაც ვაკეთებ, ახლა ვერ ხვდები, მერე კი გაიგებ.“ ფეხების დაბანის ისტორია ძალიან მნიშვნელოვანია. იმჟამად ეს ყველაზე მდაბალი მსახურება იყო მონებს შორის. იესოს, ღვთის ძეს, ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ უკანასკნელნი პირველნი იქნებიან, პირველნი კი უკანასკნელნი.

თბილისსა და ბათუმში მოციქულმა ვ. შუგმა ძმების კრება ჩაატარა. ამ კრებაზე მან საქართველოში მოღვაწე შვიდი მღვდელმსახური რწმენაში განამტკიცა და მადლობა გადაუხადა ერთგულებისა და მხარში დგომისათვის. იგი შეჰპირდა მათ, რომ ყოველ დღე ილოცებდა მათთვის. „თქვენ არასოდეს ხართ მარტო, ვინაიდან ღმერთია თქვენთან“, ასე გაამხნევა მოციქულმა ძმები.

მოციქული ვოლფგანგ შუგი ორშაბათს, პირველ აპრილს, სამშობლოში დაბრუნდა.

სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი

სტუმრად მატვეისთან ტაშკენტში (უზბეკეთი)

ტაშკენტი უზბეკეთის დედაქალაქია, აქ სამი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მეც, მატვეი, აქ ვცხოვრობ ჩემს ოჯახთან ერთად. უზბეკეთი აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოა. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, მაგრამ 1991 წლიდან ის დამოუკიდებელია.

ჩვენ ეკლესიის შენობაში ვცხოვრობთ. მამაჩემი ალექსანდრე ჩვენი თემის მღვდელია. მე და დედაჩემი, ტატიანა, გუნდში ვმღერით და ამას სიამოვნებით ვაკეთებთ. სკოლის შემდეგ დედა ზრუნავს ჩვენზე, ბავშვებზე. ჩემი და სოფია მეშვიდე კლასშია, მე რვა წლის ვარ და ახლახანს მეორე კლასი დავამთავრე, ხოლო ჩემმა ძმამ, არსენიმ, პირველი კლასი დახურა.

ჩვენ ტაშკენტში ვცხოვრობთ, მაგრამ სამარყანდში დავიბადე. ამ ქალაქს დიდი ისტორია აქვს და მინდა მოკლედ მოგვიყვეთ მის შესახებ. სამარყანდი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში, იგი დაარსდა VI / VII სუკუნეებში ჩვ. წ-აღ-მდე. მაშინ მას აფრასიაბი ერქვა. სწორედ იმჟამინდელი აფრასიაბის საზღვართან მდებარეობს ბიბლიური წინასწარმეტყველის, დანიელის, საფლავი, რომელიც ღვთის შემწეობით ლომების ხაროს გადაურჩა. საფლავს დღეს დიდი პატივისცემით ეპყრობიან მუსლიმებიც და ქრისტიანებიც.

უზბეკეთის ეროვნულ კერძს ფლავი ეწოდება. ეს არის ძალიან გემრიელი კერძი ხორცით, ბრინჯით, ნივრით, ხახვითა და სტაფილოთი. ყველა ქალაქს ფლავის საკუთარი რეცეპტი აქვს. 2017 წლის 8 სექტემბერს ტაშკენტის 50-მა მზარეულმა მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობის ფლავი მოამზადა, რომელიც 7360 კილოს იწონიდა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მზარეულებს ექვსი საათი დასჭირდათ მის მოსამზადებლად, მათ შორის 1500 კილო საქონლის ხორცი, 400 კილო ცხვრის ხორცი, 1900 კილო ბრინჯი და 2700 კილო სტაფილო. თემის ბოლო დღესასწაულზეც ფლავი გვქონდა, ძალიან გემრიელი იყო.

საშობაო დღესასწაულზე ბავშვებმა სამი ბოცვერი მივიღეთ საჩუქრად, ხშირად ვეთამაშებით მათ. გარდა ამისა, მიყვარს ფიგურების ძერწვა და მეგობრებთან თამაში.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 11/ 2018 წ.; ფოტოები: ბორადი, ©efesenko, zukamilov – stock.adobe.com

სასულიერო თანამდებობანი, ნიჭები და მსახურებანი ქრისტეს ეკლესიაში

ქრისტეს ეკლესია: საერთოდ ვინ არის ან რა არის ეს? და როგორ შეიძლება, რომ ის მოციქულების გარეშე მოქმედებდეს? პასუხებს ამაზე პირველმოციქულის მოძღვრებითი წერილი იძლევა, რომელიც ქვემოთ არის მოცემული.

ფოტო: ბიორნ რენცი

ეკლესიაზე სალაპარაკოდ პავლე მოციქული სხეულის მაგალითს იყენებს. მორწმუნენი ქრისტეს სხეულის ასოები არიან; ყველა მათგანს განსხვავებული ფუნქცია აკისრია. ამ მაგალითის საშუალებით მას ეკლესიის განსაზღვრება კი არ უნდა, არამედ მისი რამოდენიმე ასპექტის აღწერა:

- ქრისტე სხეულის თავია, კერძოდ, ეკლესიის (კოლ. 1, 18): როგორც სხეული ახორციელებს თავში მიღებულ გადაწყვეტილებებს, ეკლესიაც ასევე დგას ქრისტეს სამსახურში;
- სხეულის ყველა ასო განსხვავებულია: მართალია, მათ ერთი და იგივე ამოცანა არ აკისრიათ (რომ. 12, 4), მაგრამ ისინი ერთად მოქმედებენ და ერთმანეთს ემსახურებიან;
- სხეულის აღსაშენებლად ღმერთმა ცალკეული ნიჭები და მსახურებები მოგვცა (ეფეს. 4, 11-13; რომ. 12, 6-8; 1. კორ. 12, 4-11);
- ქრისტეს ეკლესიის, როგორც სხეულის, ზრდა ღვთის ნებითა და საქმეებით ხდება (კოლ. 2, 19).

ქრისტეს ეკლესია ყველა იმ მორწმუნისგან შედგება, რომლებიც ქრისტეს ნათლობის, რწმენისა და აღმსარებლობის შედეგად ეკუთვნიან. ამის აღქმა მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი.

პავლეს ეპოქაში ქრისტიანები მოციქულთა გარშემო იყრიდნენ თავს; იმჟამად არ არსებობდა სხვადასხვა საეკლესიო საზოგადოებანი თუ კონფესიები. ამის მიუხედავად, არც პავლემ იცოდა, თუ რომელი ქრისტიანი ეკუთვნოდა ჭეშმარიტად ქრისტეს ეკლესიას: მხოლოდ ღმერთს შეუძლია თვითეული მორწმუნის გულწრფელობის დანახვა.

დღეს ქრისტიანული ეკლესიების დიდ მრავალფეროვნებასთან გვიწევს დაპირისპირება. ქრისტეს ეკლესია არ უნდა აგვერიოს ამ ინსტიტუციებთან თუ საეკლესიო საზოგადოებებთან. ეკლესია, სხვათა შორის, კათოლიკე, ახალსამოციქულო, პროტესტანტი და მართლმადიდებელი ქრისტიანებისგანაც შედგება, მაგრამ იგი არ არის არც კათოლიკური, არც ახალსამოციქულო, არც პროტესტანტული და არც მართლმადიდებელი ეკლესია და არც ყველა ამ ეკლესიის ერთობლიობას წარმოადგენს.

სასულიერო თანამდებობანი, ნიჭები და მსახურებანი ადრეულ ეკლესიაში

იესო ქრისტემ თავისი ეკლესია მოციქულის სასულიერო თანამდებობით აღჭურვა. მან აირჩია მოციქულები, მიანიჭა მათ უფლებამოსილებანი, აკურთხა და განწმიდა ისინი, ასევე საიდუმლოთა მართვა მიანდო მათ. სრულ ხსნასთან მისასვლელი მორწმუნეებს მოციქულობის მეშვეობით ეხსნებათ.

მოციქულის სასულიერო თანამდებობის გარდა ღმერთმა ეკლესია ნიჭებითა და სასულიერო მსახურებებით აღჭურვა. ამასთან დაკავშირებით ახალ აღთქმაში შემდეგია მოცემული:

- რომ. 12-ში ნახსენებია წინასწარმეტყველება, მოძღვრება, შეგონება, წინამძღვრობა, ქველმოქმედება;
- 1. კორ. 12, 8-10-ში საუბარია სიბრძნის, ცოდნის, რწმენის, განკურნების, სასწაულთმოქმედების, წინასწარმეტყველების, სულთა გარჩევის, სხვადასხვა ენების და მათი განმარტების ნიჭზე. შემდეგ (მუხლი 28) საუბარია მოციქულებზე, წინასწარმეტყველებზე, მოძღვრებზე, სასწაულთმოქმედებზე, მკურნალებზე, შემწეებზე, (თემების) მმართველებსა და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკეებზე;
- ეფეს. 4-ში საუბარია მოციქულებზე, წინასწარმეტყველებზე, მახარებლებზე, მწყემსებსა და მოძღვრებზე.

ყველა ამ ნიჭსა თუ ქარიზმას ღმერთი მათ სწყალობს, ვისაც იგი ეკლესიაში მსახურებისთვის ირჩევს. პავლე მოციქული სხეულის მაგალითს იყენებს იმის ასახსნელად, რომ ყველას ერთი და იგივე ნიჭი არ მიუღია, მაგრამ ყველა მათგანმა თავისი ნიჭი ყველას სამსახურში უნდა ჩააყენოს. როგორც ერთი სხეულის ასოები, მორწმუნენი მოწოდებულნი არიან, გამოიჩინონ თავმდაბლობა (რომ. 12, 3), ერთსულოვნება (ეფეს. 4, 3) და სოლიდარობა (1. კორ. 12, 26).

იესოს დავალებით, აღეშენებინათ ეკლესია, ადრეული ეკლესიის მოციქულებმა დიაკვნები დანიშნეს, რომლებიც მათ საქმიანობაში ეხმარებოდნენ. მოგვიანებით კი ეკლესიის სტრუქტურიზაცია მოახდინეს, როცა ადგილობრივი წინამძღვრები (ხუცესებად და ეპისკოპოსებად წოდებულნი) დანიშნეს და დაადგინეს, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო სხვადასხვა ნიჭები ეკლესიაში (1. კორ. 14; პეტ. 4, 10).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოციქულთა ეპისტოლეებში ხაზგასმით არის ნათქვამი: „ქრისტეს ეკლესია მის ისტორიულ სინამდვილეში არასრულყოფილი იყო, ვინაიდან არასრულყოფილი კაცებისა და ქალებისგან შედგებოდა.“

ქრისტეს ეკლესიის ნიჭები და მსახურებანი მოციქულთა სიკვდილის შემდეგ

მოციქულთა სიკვდილის შემდეგ თავდაპირველ ეკლესიაში მოციქულის სასულიერო თანამდებობა საუკუნეების მანძილზე აღარ იყო პერსონალურად დაკავებული. ამიტომაც შეუძლებელი იყო

- მსახურთა სასულიერო თანამდებობაზე ორდინირება, ე. ი., მათი სამერთი ღმერთის სახელით განწმედა, კურთხევა და მათთვის უფლებამოსილების მინიჭება;
- სულიწმიდის მადლის მოფენა;
- წმიდა ზიარების დროს მადლისა და კურთხევის მიღება, რაც მოციქულის ან მისგან უფლებამოსილი მღვდელმსახურის მიერ ნაკურთხ სეფისკვერს უკავშირდება.

ყოველივე ამის მიუხედავად, ღმერთი განაგრძობდა ქრისტეს ეკლესიაზე ზრუნვას. მათ, ვისაც ქრისტესი სწამდა, შეეძლოთ წყლით მონათლულიყვნენ და ქრისტეს სხეულს შეერთებოდნენ. სულიწმიდა აგრძელებდა ხსნის საქმეს იმით, რომ ქრისტეს ეკლესიის წევრებს იმ აუცილებელი ნიჭებით აღჭურვავდა, რომლებიც სახარების უწყებას, ცოდნის გაღრმავებასა და ეკლესიის განვითარებას სჭირდებოდა.

ერთგული ქრისტიანები თავიანთ ნიჭებს ქრისტესა და მისი ეკლესიის მსახურებისათვის იყენებდნენ: იუწყებოდნენ სახარებას, მოძღვრავდნენ და შეაგონებდნენ მორწმუნეებს, იკვლევდნენ წერილებს და ამით ცოდნას იღრმავებდნენ, ხელმძღვანელობდნენ და აყალიბებდნენ ქრისტიანულ თემებს, ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქრისტეს ეკლესია კვლავაც ვითარდებოდა მის ისტორიულ სინამდვილეში, ვინაიდან ღვთისგან მიღებულ ნიჭებს წყლით მონათლულნი ქრისტეს სხეულის სამსახურს ახმარდნენ.

თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ ეკლესიის წევრთა არასრულყოფილება იყო იმ ნაკლოვანებების საფუძველი და მიზეზი, რამაც უამრავი განხეთქილება გამოიწვია და რამაც ქრისტიანობა ასე დააზარალა.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

სხვადასხვა ასოები, სხვადასხვა მსახურებანი

ქრისტეს სხეულზე არც ერთი ასო არ არის სხვებზე უკეთესი ან მნიშვნელოვანი. მათ მხოლოდ განსხვავებული ამოცანები აკისრიათ - პირველმოციქული ქრისტეს ეკლესიის შესახებ და იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ეს სიტყვები ახალსამოციქულო ეკლესიაში.

მას შემდეგ, რაც მოციქულის სასულიერო თანამდებობა აღდგა, წყლით მონათლულებს სულიწმიდის მადლის მიღების შესაძლებლობა გაუჩნდათ. იღებენ რა ისინი იესოს ხორცსა და სისხლს, ამით ღვთის ძესთან სასიცოცხლო თანაზიარებასთან სრული მისასვლელი უჩნდებათ. ეკლესიაში კვლავ შესაძლებელი გახდა მღვდელმსახურთათვის მღვდელმოქმედების უფლებამოსილების მინიჭება, მათი კურთხევა და განწმედა. რწმენა ცოცხალი, თანამედროვე მოციქულების მიმართ, ასევე სულიწმიდის მადლის მიმართ, ღვთიური წყალობაა, რომელსაც ღმერთი მის მიერ ამ მიზნით რჩეულებს ანიჭებს. მისი გადაწყვეტილება ადამიანური გონების ფარგლებს სცილდება: „და აჰა, ღმერთმა განალაგა ასოები სხეულში - თითოეული მათგანი, როგორც ნებავდა“ (1. კორ. 12, 18).

ვაღიაროთ ქრისტე სიტყვითა და საქმით

ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული, შესაბამისად შედგება როგორც წყლით მონათლულთაგან, ასევე წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებულთაგანაც. ამ სხეულის ყველა ასო იესო ქრისტესადმი რწმენის აღიარებისკენ და მასზე განხორციელებული ღვთიური სიკეთის სიტყვითა და საქმით უწყებისკენ არის მოწოდებულნი (1. პეტ. 2, 9). ყველამ სიყვარულით უნდა შეიწყნაროს ერთმანეთი და თავისი წვლილი შეიტანოს სულის ერთობის შენარჩუნებაში „მშვიდობის საკვრელით“ (ეფეს. 4, 2. 3).

მარსელ ფელდე

ქრისტეს სხეულის ასოები, რომლებმაც სულიწმიდის მადლი მიიღეს, სხვებზე „უკეთესები“ არ არიან - სხეულის მაგალითი რომ გავაგრძელოთ, თვალი ფეხზე „უკეთესი“ არ არის. ისინი განსაკუთრებული მსახურებების შესასრულებლად აირჩიეს: მათ უფლის მალე მეორედ მოსვლა უნდა იუწყონ, იმოწმონ ცოცხალი მოციქულების მოღვაწეობაზე, ადგილი დაუთმონ სულიწმიდას საკუთარ თავში, გაითავისონ ღვთიური სათნოებანი და ასე მოემზადონ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის. სულიწმიდის მადლის მეშვეობით (რომ. 5, 5) ღმერთმა სიყვარული ჩაუღვარა მათ გულებში და ამიტომაც განსაკუთრებულად მოელის მათგან, რომ მისი ეს სიყვარული სხვა ადამიანების მიმართაც გამოავლინონ.

წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებულები, რომლებიც ღმერთმა სასულიერო თანამდებობების აღსასრულებლად აირჩია - მოციქულები და მათ მიერ ორდინირებული მღვდელმსახურები -, იესოსგან იმის უფლებამოსილებას იღებენ, რომ იუწყონ სახარება, მოამზადონ მორწმუნენი მისი მეორედ მოსვლისათვის, მიანიჭონ საიდუმლოები და იუწყონ ცოდვათა მიტევება.

განვავითაროთ და გამოვიყენოთ ღვთის მიერ ნაბოძები ნიჭები

ღმერთი ქრისტეს ეკლესიას იმ ნიჭებით აღჭურვავს, რომლებიც სჭირდება მას. იგი ეკლესიის

ზოგიერთ წევრს - წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებულთაგან, ასევე წყლით მონათლულთაგან - განსაკუთრებულ ნიჭებს სწყალობს, მაგ., ევანგელიზაციის ნიჭს, სწავლების ნიჭს, შემეცნების, სიბრძნის ან მოყვასის დახმარების ნიჭს. ქრისტეს სხეულის ყველა ასო მოწოდებულია, განავითაროს და გამოიყენოს მიღებული ნიჭები, თითოეულმა ისე, „როგორც რწმენის კვალობაზე“ ღმერთმა უწილადა მას (რომ. 12, 3), „თავმდაბლობით“ და „სიმშვიდით“.

არც ის მორწმუნენი არიან სრულყოფილნი, რომლებიც დღეს ქრისტეს ეკლესიას ეკუთვნიან, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ნიჭები მიიღეს მათ და რა ფუნქციას ასრულებენ ისინი ეკლესიში. მათი გადაცდენებისა და შეცდომების მიზეზი ქრისტეს ხილული ეკლესიის უჩინარობაა.

მოვემზადოთ ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის

სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან ჩვენს ურთიერთობას ქრისტეს ეკლესიის ჩვენეული გაგება განაპირობებს.

ახალსამოციქულო ეკლესიის მოძღვრება სულიწმიდის შუქზე წმიდა წერილის განმარტებას ეფუძნება. ეს თემა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოშია გაშლილი. რაც შეეხება ქრისტეს ეკლესიას, გვწამს შემდეგი:

- ღმერთი მის მიერ რჩეულებს მოუწოდებს, რომ მოინათლონ წყლით და, ამდენად, ეკლესიის წევრები გახდნენ (ეფეს. 4, 1).
- ღმერთი ქრისტეს ეკლესიის წევრებს სულიერ ნიჭებს ანიჭებს და მოითხოვს, რომ ამ ნიჭებით ისინი ღმერთსა და მის ეკლესიას ემსახურონ.
- ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე დღემდე, რწმენითა და ღვთიური სიყვარულით აღვსილი ქრისტიანები მიღებულ ნიჭებს ქრისტეს სამსახურში აყენებდნენ და, ამდენად, ღვთიური ნებისამებრ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ქრისტეს ეკლესიის განვითარებასა და ხსნის გეგმის წინსვლაში.
- მოციქულებსა და მათ მიერ ორდინირებულ მღვდელმსახურებს ღმერთმა იმისათვის მოუწოდა და იმისათვის მიანიჭა უფლებამოსილება, რომ მორწმუნენი იესოს მეორედ მოსვლისთვის მოამზადონ, რამეთუ ეს უკანასკნელნი ხსნის სისავსეს ეზიარონ.
- მოციქულებისა და სულიწმიდის მადლის მიმართ რწმენა განსაკუთრებული ნიჭია, რომელსაც ღმერთი ქრისტეს ეკლესიის იმ წევრებს ანიჭებს, რომლებსაც ამ მიზნით ირჩევს.
- მორწმუნენი, რომლებმაც ეს ნიჭები მიიღეს, ღვთის მიერ განსაკუთრებული ამოცანის შესრულებისკენ არიან მოწოდებულნი ქრისტეს ეკლესიაში.
- მართალია, ისინი სხვადასხვა ნიჭებით არიან აღჭურვილნი, მაგრამ ქრისტეს სხეულის ყველა წევრი ხომ იმისკენ არის მოწოდებული, რომ სოლიდარულნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ და დაძლიონ არსებული განსხვავებები, რათა ქრისტეს სიყვარულში აღაშენონ ერთმანეთი.

„სულით ერთობა მშვიდობის საკვრელით“

მოდით, ამის საფუძველზე განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობა სხვა ქრისტიანებთან და ქრისტიანულ ეკლესიებთან. ჩვენ დიდი მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალულნი წარსულსა და აწმყოში მოღვაწე ყველა იმ ქრისტიანის მიმართ, რომლებმაც ღვთისგან ბოძებული ნიჭები ქრისტესა და მისი ეკლესიის სამსახურში ჩააყენეს. აქ განსაკუთრებულად უნდა ვახსენოთ ევანგელიზაციის, სწავლების, შემეცნებისა და გულმოწყალების ნიჭი.

როგორც ქრისტეს სხეულის ასოების, ახალსამოციქულო ქრისტიანების სურვილია, შეასრულონ ყველა ქრისტიანისათვის საერთო ამოცანა: აღიარონ იესო ქრისტეს რწმენა და სიტყვითა და საქმით იუწყონ ღვთიურ სიქველეებზე (1. პეტ. 2, 9). მათ სწამთ წყლისა და სულისგან მათი ხელახლა დაბადების, ამიტომაც მათი წმიდა მოვალეობაა, სხვებსაც განაცდევინონ ქრისტეს სიყვარული. მოყვასის სიყვარულიდან გამომდინარე ისინი ასევე უფლის მეორედ მოსვლაზე იუწყებიან და მოწმობენ ცოცხალი მოციქულების მოღვაწეობაზე; ამასთანავე, იმ ქრისტიანების მიმართ, ვინც არ იზიარებს მათ რწმენას, სათანადო პატივისცემას იჩენენ.

და ბოლოს, ასეთი რჩევა მინდა მოგცეთ: მოდით, სხვა ქრისტიანებთან ურთიერთობა პავლე მოციქულის ამ სიტყვების შესაბამისად წარვმართოთ: „ამიტომ შეგაგონებთ, მე, პატიმარი უფალში, მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოდებულნი ხართ, მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში. ეცადეთ შეინარჩუნოთ სულით ერთობა მშვიდობის საკვრელით“ (ეფეს. 4, 1. 2. 3).

ფოტო: ავსტრალიის ახსე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახსე

ცვლილებები მოციქულთა შორის

პირველმოციქულმა შნაიდერმა 2018 წლის მეორე ნახევარში ცხრა მოციქული აკურთხა ხელდასხმით; გარდა ამისა, ორი სამხ. მოციქული უფლებამოსილებით აღჭურვა. ერთი მოციქული აქტიური მოღვაწეობის პერიოდში გარდაიცვალა, შვიდი მოციქული და ორი სამხ. მოციქული დამსახურებულ პენსიაზე გავიდნენ, ერთი მოციქული კი მოციქულის სასულიერო თანამდებობიდან გადააყენეს.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის 355 მოციქული მოღვაწეობდა. დღესდღეობით მათ ეხმარება 253.000 მღვდელმსახური, რომლებიც 59.000 თემში, მსოფლიო მასშტაბით, დიაკვნის ან მღვდლის მსახურებას ასრულებენ. მოციქულებს შორის აქტიურად მოღვაწეობს 329 მოციქული, 9 სამხ. მოციქულის თანაშემწე, 16 სამხ. მოციქული და პირველმოციქული.

ორდინაციები და უფლებამოსილებანი

2018 წლის 22 ივლისს, კვირას, კინდუში (კონგოს დრ) სამხ. მახარებელმა კალენგა როჯერ კაბენგელემ (1965 წ.) მოციქულის სასულიერო თანამდებობა მიიღო. ამ დღეს 4000 და-ძმაზე მეტი მოვიდა პირველმოციქულის ღვთისმსახურებაზე.

2018 წლის 29 ივლისს, კვირას, პირველმოციქულმა კინშასა-ლიმეტეში (კონგოს დრ) ოთხი მოციქული აკურთხა ხელდასხმით: ეპისკოპოსები ანდრე მუტანგა სუკატი (1964 წ.), მერლინ ვამბა ბაზოლო (1960 წ.) და კაიემბე მუტება (1966 წ.) - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, სამხ. მახარებელი ალდინ მაკოუნდი ბიფიგა (1978 წ.) კი - კონგო-ბრაზავილისათვის (კონგოს რესპუბლიკა). ამ ღვთისმსახურებას ადგილზე ესწრებოდა 9000 მონაწილე და მრავალი ათასი ტრანსლიაციის მეშვეობით - ტრანსლიაცია მიმდინარეობდა სამხ. მოციქულების - მიხაელ დეპნერისა და ჩიში ჩისეკედის სამოღვაწეო მხარეში.

ეპისკოპოსმა ოსკარ ზიბოტა კალუმიანამ (1964 წ.) 2018 წლის 12 აგვისტოს, კვირას, მოციქულის სასულიერო თანამდებობა მიიღო ზამბიაში სამუშაოდ. საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელმა ორდინაცია დარესალამში (ტანზანია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე განახორციელა.

2018 წლის 30 სექტემბერს, კვირას, პირველმოციქულმა შნაიდერმა ღვთისმსახურება ბრიზბენში (ავსტრალია) ჩაატარა. მან სამხ.

მოციქულის თანაშემწე პეტერ შულტეს (1963 წ.) სამხ. მოციქულის უფლებამოსილება მიანიჭა წყნარი ოკეანის დასავლეთისათვის, სადაც სამხ. მოციქულის ახალი სამოღვაწეო მხარე დაარსდა. ავსტრალიის გარდა ამ სამოღვაწეო სფეროში შედის აგრეთვე ახალი ზელანდია, პაპუა - ახალი გვინეა და წყნარი ოკეანის ბევრი კუნძული, ასევე ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, იაპონია და ტაივანი.

ეპისკოპოსმა სამუელ ჰანდოჯო ტანზატიკნომ (1971 წ.) მოციქულის სასულიერო თანამდებობა მიიღო ფილიპინებზე სამოღვაწეოდ, სამხ.მახარებელმა პრემ მოჰან რეიმ (1970 წ.) კი - ინდოეთში სამოღვაწეოდ. ორდინაციები პირველმოციქულმა მანილაში (ფილიპინები) 2018 წლის 18 ნოემბერს, კვირას, ჩაატარა. ამავე ღვთისმსახურებაზე ეკლესიის ხელმძღვანელმა სამხ. მოციქულის თანაშემწეს, ედი ისნუგროჰოს (1963 წ.), სამხ. მოციქულის უფლებამოსილება მიანიჭა სამხრეთ- აღმოსავლეთ აზიაში სამოღვაწეოდ. ეპისკოპოსმა რალფ ვიტიხმა (1960 წ.) 2018 წლის 23 დეკემბერს, კვირას, მოციქულის სასულიერო თანამდებობა მიიღო. ორდინაცია საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელმა ვაიმარში (გერმანია) განახორციელა.

დამსახურებულ პენსიაში გაშვება და სასულიერო თანამდებობიდან გადაყენება

21 წლის მოღვაწეობის შემდეგ მოციქული ბენჯამინ ჩიამალა (1953 წ.) 2018 წლის 21 ივლისს, კვირას, დამსახურებულ პენსიაში გავიდა. ეს მღვდელმოქმედება პირველმოციქულმა შნაიდერმა კინდუში (კონგოს დრ) ჩაატარა.

2018 წლის 29 ივლისს, კვირას, ეკლესიის ხელმძღვანელმა კინშასა-ლიმეტეში მოციქულები კუმ-ბადინგ ჰანდჯამბა (1953 წ.) და ზადისა კუმალა (1953 წ.) ხანდაზმულობის გამო დამსახურებულ პენსიაში გაუშვა. ისინი მრავალი წლის განმავლობაში იყვნენ პასუხისმგებელნი 240 და შესაბამისად 350 თემებზე.

პირველმოციქულის დავალებით სამხ. მოციქულმა ჩარლზ ს. ნანდულამ კვირას, 2018 წლის 5 აგვისტოს, მოციქული სტენლი მუნსაკა (1953 წ.) დამახურებულ პენსიაში გაუშვა. ის 26 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა მოციქულად.

2018 წლის 12 აგვისტოს, კვირას, ეკლესიის მეთაურმა ღვთისმსახურება დარესალამში (ტანზანია) ჩაატარა. ამ ღვთისმსახურებაზე, რომელიც ქვეყანის ტერიტორიაზე ტრანსლიაციით გადაიცემოდა, მოციქული ფრენსის ჩარო კაზუნგუ კინგურა (1953 წ.) დამსახურებულ პენსიაში გაუშვა. ის 21 წლის განმავლობაში მსახურებდა მოციქულად.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოციქული მეთიუ არენდზე (1958 წ.) იძულებული გახდა, უარი ეთქვა სასულიერო მოღვაწეობაზე. პირველმოციქულის დავალებით სამხ. მოციქულმა ჯონ. ლ. კრილმა 2018 წლის 23 სექტემბერს, კვირას, გასტროუში (სამხ. აფრიკა) იგი დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა.

2018 წლის მეორე ნახევარში ორი სამხ. მოციქული ხანდაზმულობის გამო პენსიაში გავიდა: 2018 წლის 30 სექტემბერს, კვირას, ბრიზბენში (ავსტრალია) პირველმოციქულმა შნაიდერმა სამხ. მოციქული ენდრიუ ჰ. ანდერსენი (1951 წ.) გაუშვა პენსიაზე. ის 30 წლის მანძილზე მოღვაწეობდა მოციქულად, აქედან 17 წელი სამხ. მოციქულის მოვალეობას ასრულებდა. 2018 წლის 18 ნოემბერს, კვირას, საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელმა ღვთისმსახურება მანილაში (ფილიპინები) ჩაატარა. ამ ღვთისმსახურებაზე სამხ. მოციქული ურს ჰებაიზენი (1952 წ.) იქნა პენსიაზე გაშვებული. იგი 36 წელი მოღვაწეობდა მოციქულად, აქედან 10 წელი სამხ. მოციქულად.

2018 წლის 19 ნოემბერს, ორშაბათს, პირველმოციქულმა შნაიდერმა მოციქული ზონგზეანგ ფატი (1973 წ.) მოციქულის სასულიერო თანამდებობიდან გადააყენა. ის კამბოჯაში 2015 წლიდან მოღვაწეობდა.

კვირას, 2018 წლის 23 დეკემბერს, ვაიმარში (გერმანია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე ეკლესიის ხელმძღვანელმა მოციქული როლფ ვოზნიცკა (1953 წ.) ხანდაზმულობის გამო პენსიაში გაუშვა.

სიკვდილიანობა

59 წლის ასაკში მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა მოციქული ცუჰუკე ჰანგიტო (1959 წ.) პაპუა-ახალი გვინეიდან. 2018 წლის 19 ოქტომბერს, პარასკევს, იგი მადანგის პროვინციაში ერთმორწმუნე და-ძმებთან მიემგზავრებოდა. პანაშვიდი ოთხშაბათს, 2018 წლის 31 ოქტომბერს, სამხ. მოციქულმა პეტერ შულტემ ჩაატრა ლაეში (პაპუა-ახალი გვინეა). მოციქული ჰანგიტო თითქმის 30 წელი მსახურებდა ეკლესიაში მღვდელმსახურად, აქედან 12 წელი ეპისკოპოსად და შვიდი წელი მოციქულად. მოციქულ ჰანგიტოს დარჩა მეუღლე მერი და ექვსი შვილი. „ჩვენი განსაკუთრებული და გულითადი თანაგრძნობა თქვენ და ყველა მგლოვიარეს. დაე, ჩვენმა ზეციერმა მამამ დიდი ნუგეში, ძალა და სიმტკიცე მოგანიჭოთ ამ მძიმე დღეებში“, წერდა პირველმოციქული შნაიდერი ამ სამწუხარო ამბავთან დაკავშირებით.

პროგრამა

07.04.2019 წ.	ამსტერდამი (ნიდერლანდები)
14.04.2019 წ.	ბანგი (ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა)
19.04.2019 წ.	ბაზელი (შვეიცარია)
21.04.2019 წ.	ლინდაუ (გერმანია)
11.05.2019 წ.	კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)
12.05.2019 წ.	კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)
19.05.2019 წ.	გოეტებურგი (შვედეთი)
26.05.2019 წ.	ბრანდენბურგი (გერმანია)
02.06.2019 წ.	დიუსელდორფი (გერმანია)
09.06.2019 წ.	გოსლარი (გერმანია)
22.06.2019 წ.	სანტა დომინგო (დომინიკელთა რესპუბლიკა)
23.06.2019 წ.	ლეოგანი (ჰაიტი)
30.06.2019 წ.	ობერჰაუზენი (გერმანია)

New Apostolic Church
International